



ფინანსთა
სამინისტრო



შემოსავლების
სამსახური

უნივერსიტეტი

ფინანსთა სამინისტროს
შემოსავლების სამსახურის

2021 წლის

ანგარიში



ფინანსთა
სამინისტრო



შემოსავლების
სამსახური

ფინანსთა სამინისტროს
შემოსავლების სამსახურის
2021
წლის ანგარიში



პირველი რიგი
(მარცხნიდან მარჯვნივ)

ნინო ფოღიაშვილი
დავების დეპარტამენტის უფროსი

დინარა ჩუბინიძე
იურიდიული დეპარტამენტის უფროსი

ლევან კაკაშა
შემოსავლების სამსახურის უფროსი

ია იაძე
საზოგადოებასთან ურთიერთობის
და მარკეტინგის დეპარტამენტის
უფროსის მოვალეობის
შემსრულებელი

ნინო ყველაშვილი
ადამიანური რესურსების
მართვისა და განვითარების
დეპარტამენტის უფროსი

მეორე რიგი
(მარცხნიდან მარჯვნივ)

მიხეილ ახვლედიანი
ფინანსური დეპარტამენტის უფროსი

ნიკა კანკია
ვალის მართვის დეპარტამენტის
უფროსი

რომან ბულაძე
საგადასახადო და
საბაჟო მეთოდოლოგიის
დეპარტამენტის უფროსი

ზურაბ სიჭინავა
საბაჟო დეპარტამენტის უფროსი

ლევან წითელაშვილი
შემოსავლების სამსახურის
უფროსის მოადგილე

პაატა კილაძე
შემოსავლების სამსახურის
უფროსის პირველი მოადგილე

ზაზა თაბაგარი
ანალიტიკური დეპარტამენტის
უფროსი

თეიმურაზ გაბადაძე
საგადასახადო მონიტორინგის
დეპარტამენტის უფროსი

მესამე რიგი
(მარცხნიდან მარჯვნივ)

ირაკლი შარტავა
შემოსავლების სამსახურის
უფროსის მოადგილე

გიორგი ბუბუბიშვილი
შიდა აუდიტის დეპარტამენტის
უფროსი

ლევან დგებუაძე
მომსახურების დეპარტამენტის
უფროსი

ვლადიმერ ხუნდაძე
შემოსავლების სამსახურის
უფროსის მოადგილე

სამსონ შრიდია
საერთაშორისო ურთიერთობათა
დეპარტამენტის უფროსი

ნოდარ კაკრიაშვილი
საინფორმაციო ტექნოლოგიების
ცენტრის უფროსი

ზაალ ტყეშელაშვილი
აუდიტის დეპარტამენტის უფროსი

ლევან ბერაძე
სამსახურებრივი მონიტორინგის
დეპარტამენტის უფროსი



ლევან კაკავა

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს
შემოსავლების სამსახურის უფროსი

ძვირფასო თანამოქალაქენო, თანამშრომლებო, საერთაშორისო პარტნიორებო წარმოგიდგენთ 2021 წლის საქმიანობის წლიურ ანგარიშს.

მიუხედავად იმისა, რომ გასული წელი აღსავსე იყო მნიშვნელოვანი გამოწვევებით, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის გუნდმა, გადასახადების გადამხდელეთან ურთიერთთანამშრომლობითა და პარტნიორების მხარდაჭერით, წარმატებით გაართვა თავი დაკისრებულ ამოცანებს.

ჩვენი გუნდი განაგრძობს სამართლიანი საგადასახადო და საბაჟო ადმინისტრირების კულტურისა და განჭვრეტადობის მხარდაჭერას.

ჩვენი საქმიანობის ქვაკუთხედად რჩება კეთილსინდისიერ გადასახადის გადამხდელთათვის უფრო მეტად კომფორტული და მათ საჭიროებებზე მორგებული, მდგრადი გარემოს შემდგომი დახვეწა. შესაბამისად, ჩვენი თითოეული კოლეგის ძალისხმევა მიმართულია, თანამედროვე მიდგომების გამოყენებით, გადასახადის გადამხდელთა ნებაყოფლობითი კანონმორჩილების მოტივაციის ამაღლებისკენ.

ნდობასა და ურთიერთთანამშრომლობაზე დამყარებული ადმინისტრირების პროცესის გაუმჯობესების თვალსაჩინო მაგალითია - დამატებული ღირებულების გადასახადის კვალიფიციურ გადასახადის გადამხდელთა ახალი სისტემის ფუნქციონირება, ასევე მსხვილ გადასახადის გადამხდელთა განახლებული სტრატეგია, გადასახადის გადამხდელთა ბაზის დახვეწა, დეკლარირებული მონაცემების ხარისხის გაზრდისკენ მიმართული ქმედებები და სხვა ეფექტური ღონისძიებები, რომელთა შესახებ დაწვრილებით ინფორმაციასაც დაინტერესებული მკითხველი მოცემულ ანგარიშში გაეცნობა.

ვიმედოვნებ, რომ ჩვენი თანამშრომლების მიერ, თქვენთვის მომზადებული ინფორმაცია დადებით წვლილს შეიტანს საგადასახადო და საბაჟო ადმინისტრაციის შესახებ ცნობიერების ამაღლებაში.


განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ გლობალური პანდემიით გამოწვეული აკრძალვებისა და შეზღუდვების მიუხედავად, სამსახურის გუნდმა შეძლო ანგარიშში ასახული შედეგების მიღწევა. ვსარგებლობ შემთხვევით და თითოეული ჩემი თანამშრომლის მიმართ, გამოვხატავ გულითად მადლიერებას.

ასევე, დიდი მადლობა მსურს გადავუხადო თითოეულ მეზაჟე ოფიცერს, საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრის თანამშრომლებს, რომლებიც 24/7 რეჟიმში განაგრძობდნენ ქვეყნის ეკონომიკური სივრცის დაცვას და სავაჭრო რთულ საგადასახადო-საბაჟო საინფორმაციო ინფრასტრუქტურის გამართულ ფუნქციონირებას. ცხადია, სამსახურის სახელით მსურს უღრმესი მადლობა გადავუხადო ჩვენ საერთაშორისო პარტნიორებს ქმედითი თანადგომისა და მხარდაჭერისთვის.

დარწმუნებული ვარ, რომ ევროკავშირის წევრობაზე საქართველოს მიერ წარდგენილი განაცხადი, 2022 წელს, კიდევ უფრო მეტ დინამიკას შესძენს ჩვენი სამსახურის საქმიანობას.

ჩვენ სტრატეგიულ პარტნიორს და ევროკავშირის ასოცირების გზაზე, ჩვენთან ერთად მიმავალ, უკრაინელ ხალხს, ჩვენ უკრაინელ კოლეგებს, რომლებიც ეხლა, ამ წუთებში იბრძვიან საკუთარი ქვეყნისა და ჩვენი მომავლისთვის მსურს გამოვუცხადო სრული სოლიდარობა და თანადგომა.





საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფა ნებაყოფლობითი კანონშესაბამისობის ხელშეწყობით და სამართალდარღვევებზე შესაბამისი რეაგირების ღონისძიებების განხორციელებით.

მომხმარებელზე ორიენტირებული სერვისების მიწოდებით და კანონშესაბამისობის მართვის თანამედროვე მიდგომების გამოყენებით, ვქმნით მაქსიმალურად ხელსაყრელ გარემოს ნებაყოფლობითი კანონშესაბამისობის ასამაღლებლად.

ლინეაულებები

ანგარიშვალდებულება

ანგარიშვალდებულება
დაინტერესებულ პირთა
ჩართულობის და
ინფორმაციის საჯაროობის
უზრუნველყოფა

პროფესიონალიზმი

კანონით დაკისრებული
ვალდებულებების მაღალი
პროფესიული
სტანდარტების
შესაბამისად შესრულება

კეთილსინდისიერება

თითოეული
თანამშრომლის ქმედება
ემყარება პატიოსნების,
სამართლიანობის და
ანგარიშვალდებულების
პრინციპს

ინოვაციურობა

მოწინავე ტექნოლოგიების
გამოყენებით
თანამედროვე და
ეფექტიანი მიდგომების
დანერგვა

შეჯამებული მიმოხილვა

შემოსავლების სამსახური, მიუხედავად გლობალური პანდემიით შექმნილი ვითარებისა, აქტიურად განაგრძობს საგადასახადო და საბაჟო ადმინისტრირების გაუმჯობესების მიმართულებით, სამსახურის 2021- 2024 წლების სტრატეგიით განსაზღვრული მიზნების შესრულებას და დაგეგმილი რეფორმების განხორციელებას.

შემოსავლების სამსახურმა, გასული წლის მსგავსად, მისი ძირითადი საქმიანობის პარალელურად, 2021 წელსაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა პანდემიის შედეგად დაზარალებულთა მხარდაჭერის სოციალურ-ეკონომიკური პროგრამის ფარგლებში. ღონისძიებები, მათ შორის, მოიცავდა კომპენსაციის მიმღები პირებისათვის აქტიური საინფორმაციო კამპანიის განხორციელებას. მომზადდა საინფორმაციო ელექტრონული ბანერები და განთავსდა Facebook-გვერდზე. სამსახურის ვებგვერდზე www.rs.ge აიტვირთა ვიდეო ინსტრუქციები ერთჯერადი, 300 ლარიანი კომპენსაციის მისაღებად საჭირო რეგისტრაციისა და განცხადების შევსების წესების შესახებ. შემოსავლების სამსახურის ვებგვერდზე განთავსებული, ახალი პროგრამული უზრუნველყოფის <https://www.rs.ge/kompensacia> საშუალებით, მომხმარებელს შესაძლებლობა ჰქონდა კომპენსაციის მიმღებთა რეესტრი თავად გადაემოწმებინა.

გადასახადების ეფექტიანი ადმინისტრირების მიმართულებით, შემოსავლების სამსახურმა 2021 წელს დაიწყო მასშტაბური რეფორმების განხორციელება. იქიდან გამომდინარე, რომ მსხვილ გადასახადის გადამხდელებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ქვეყნის ბიუჯეტის ფორმირებაში, საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით, სამსახურში ჩამოყალიბდა მსხვილ გადასახადის გადამხდელთა ოფისი, რომელიც მაღალკვალიფიციური მომსახურების შეთავაზებითა და საგადასახადო რისკებზე დროული რეაგირებით, უზრუნველყოფს გადასახადის გადამხდელთა ნებაყოფლობითი კანონშესაბამისობის ხელშეწყობას. ამასთანავე, მსხვილ გადამხდელთა ადმინისტრირების შესახებ პროცედურული სახელმძღვანელოს მიღებით, მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული შემოსავლების სამსახურისა და მსხვილი კატეგორიის გადასახადის გადამხდელების ინტერესები. მომდევნო წლებში დაგეგმილია სრულიად ახალი მიდგომების დანერგვა, რაც მიზნად ისახავს გადასახადის გადამხდელთან მჭიდრო, ღია და გამჭვირვალე თანამშრომლობის გზით, კანონშესაბამისობის გაზრდას.

საგადასახადო დავალიანების მართვის სისტემის გაუმჯობესების მიზნით, შემოსავლების სამსახურში შეიქმნა ვალის მართვის სტრუქტურული ერთეული, რომელიც თანამედროვე და ეფექტიანი მექანიზმების გამოყენებით, უზრუნველყოფს მაქსიმალურად ხელსაყრელი გარემოს შექმნას ნებაყოფლობითი კანონშესაბამისობის ასამაღლებლად, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს საგადასახადო დავალიანების დროულად გადახდის მაჩვენებლის გაუმჯობესებას და საბიუჯეტო შემოსავლების მობილიზებას.

დღგ-ის არამართლზომიერი ჩათვლის/თანხის ავტომატური დაბრუნების რისკების შემცირების მიზნით, შემუშავდა ელექტრონული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის (საფ) გამოყენების სპეციალური წესი, რომელიც ითვალისწინებს გარკვეული კატეგორიის გადასახადის გადამხდელების მიერ გამოწერილი საფ-ის საფუძველზე დღგ-ის ჩათვლის განხორციელებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დღგ-ის შესაბამისი თანხა გადახდილი იქნება ბიუჯეტში საქონლის/მომსახურების შემძენის მიერ მიმწოდებლის სახელით ან საქონლის/მომსახურების მიმწოდებლის მიერ (საკომპენსაციო თანხიდან). აღნიშნულის მიზანია, ერთი მხრივ, დღგ-ის არამართლზომიერი ჩათვლის/ავტომატური დაბრუნების წინაპირობების შემღუდვა, ხოლო მეორე მხრივ გადასახადის გადამხდელებისთვის დამატებითი სარგებლის უზრუნველყოფა.


შემოსავლების სამსახურსა და სსიპ წიაღის ეროვნულ სააგენტოს კოორდინირებული მუშაობის შედეგად, 2021 წელს დაინერგა ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებლის ადმინისტრირების ახალი პროგრამა. პროგრამის მეშვეობით, მოსაკრებლის ადმინისტრირება გახდა ავტომატიზებული, კერძოდ, დაინერგა ბუნებრივი რესურსების სარგებლობისათვის გაანგარიშების ავტომატური ვალიდაციისა და სავარაუდო დარიცხვის ავტომატური მექანიზმები, რამაც ადმინისტრირების პროცესი გახადა მოქნილი და ეფექტური.

საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში და პარტნიორი ქვეყნების მხარდაჭერით, შემოსავლების სამსახურში მრავალი მნიშვნელოვანი პროექტი ხორციელდება. ამ მხრივ, აღსანიშნავია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ექსპორტის კონტროლის და საზღვრის უსაფრთხოების პროგრამის (EXBS) მხარდაჭერითა და NU Borders-ის მონაწილეობით, შემოსავლების სამსახურში იწყება საბაჟოს საინფორმაციო სისტემების მოდერნიზაციის პროექტი, რომელიც მომდევნო 3 წლის განმავლობაში გაგრძელდება. შედეგად შემოსავლების სამსახურს ექნება მონაცემთა დამუშავებისა და ბიზნეს პროცესების წარმოების სრულიად განახლებული, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი მოქნილი და გამართული სისტემა.

2021 წელს არაერთი ღონისძიება განხორციელდა ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარების კუთხითაც. ადამიანური რესურსის უნარ-ჩვევების გაძლიერებისა და ტექნოლოგიური სისტემების გაუმჯობესების გარდა, აღსანიშნავია, სამსახურის შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ საერთაშორისო პროფესიული სტანდარტებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ჩატარებული ეფექტიანობის, შესაბამისობისა და ფინანსური შიდა აუდიტორული შემოწმებები, რაც სამსახურს ეხმარება ორგანიზაციული საქმიანობის სრულყოფაში.


წინამდებარე ანგარიში მოიცავს შემოსავლების სამსახურის მიერ 2021 წლის განმავლობაში დაგეგმილი და განხორციელებული ღონისძიებებისა და ძირითადი მაჩვენებლების შესახებ ინფორმაციას.

საგადასახადო შემოსავლების დინამიკა



დღგ-ის ავტომატური დაბრუნების სისტემა

დღგ-ის ავტომატური დაბრუნების სიტემით
დაბრუნებული დღგ-ის ზედმეტობის თანხა



2020 წლის ნოემბერიდან დღგ-ის ავტომატური დაბრუნების სისტემის ფარგლებში რისკის მოდულის მიერ შესწავლილი დღგ-ის თანხები, გადამხდელს დაბრუნების მოთხოვნის განაცხადის წარდგენის გარეშე, ავტომატურად უბრუნდება საბანკო ანგარიშზე.

2021 წელს დღგ-ის ზედმეტობის ავტომატური დაბრუნების პროგრამის ფარგლებში ქვეანგარიშიდან დაბრუნებულმა თანხამ 1,831,572,401 ლარი შეადგინა.

2021 წელს განხორციელებული მნიშვნელოვანი ღონისძიებები



„ღიალოგი ბიზნესთან“

2021 წელს, შემოსავლების სამსახურის ინიციატივით, საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული სიახლეებისა და დაგეგმილი რეფორმების გაცნობის მიზნით, საქართველოს ბიზნეს ასოციაციის წარმომადგენლებთან, პროფესიულ ორგანიზაციებთან და მეწარმე სუბიექტებთან 17 შეხვედრა გაიმართა. მხარეებს შესაძლებლობა ჰქონდათ ესაუბრათ საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების შესახებ, ასევე გაცნობოდნენ დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციასთან დაკავშირებულ ახალ მექანიზმს, განეხილათ „დღგ-ის კვალიფიციური გადამხდელის სტატუსი“ და მიეღოთ ინფორმაცია ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებლის ადმინისტრირების ახალი წესის შესახებ. შეხვედრები ღიალოგის ფორმატში წარმართა და მონაწილეებს შესაძლებლობა ჰქონდათ მათთვის საინტერესო კითხვებზე ამომწურავი პასუხები მიეღოთ.



მხარდაჭერა ავტოიმპორტიორებს

აქტიური კომუნიკაციის ფარგლებში, განხორციელდა შეხვედრები ავტოიმპორტიორი კომპანიების წარმომადგენლებთან. დისკუსიის ფორმატში მხარეებმა დეტალურად განიხილეს ავტოიმპორტიორების მხარდაჭერის მიზნით, დაგეგმილი საკანონმდებლო სიახლეები, რომელიც ავტომობილების იმპორტის, ტრანზიტის და რეექსპორტის ხელშეწყობისა და კონტროლის პროცედურებს შეეხება.





საქონლის დაქაჩაებული გაფორმება

საქონლის გაფორმებისა და გაშვების ფორმალობების გამარტივების მიზნით, ინიცირებულ იქნა ცვლილებები საბაჟო კანონმდებლობაში, რომლის თანახმად, 2021 წლის 15 დეკემბრიდან, გადასახადის გადამხდელები საქონლის გაფორმების ახალი დაქაჩაებული შესაძლებლობებით სარგებლობენ. კერძოდ, საბაჟო დეკლარაციის დამუშავებისას, მასში მითითებული მონაცემების იმპორტის გადასახდელებზე ვალდებულების შესრულების რისკის პროფილთან თანხვედრის შემთხვევაში, საგრძნობლად შემცირდა საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისთვის საჭირო დრო.



კომერციულ ბანკებთან გაფორმებული მემორანდუმების საფუძველზე, შემოსავლების სამსახურისთვის ონლაინ რეჟიმში ხელმისაწვდომი გახდა ინფორმაცია გადასახადის გადამხდელის მიერ, საბანკო დაწესებულებაში განხორციელებული სახაზინო გადარიცხვების შესახებ. შესაბამისად, გადასახადის გადამხდელის მიერ, წარმოსადგენი გადახდის დოკუმენტი ჩაანაცვლა ბანკის მიერ ელექტრონულად მოწოდებული ინფორმაციამ, რომელზე დაყრდნობითაც შესაძლებელია საქონლის დაუყოვნებლივ გაშვება თავისუფალ მიმოქცევაში, რაც გადასახადის გადამხდელისთვის ქმნის კომფორტულ გარემოს და კიდევ უფრო ამარტივებს საბაჟო ფორმალობებს. ამასთან, გადასახადის გადამხდელებს შესაძლებლობა აქვთ საბაჟო ფორმალობები განახორციელონ არასამუშაო დღეებშიც.



მედიასემინარი უზენაესი სასამართლოს

2021 წელს, შემოსავლების სამსახურის ორგანიზებით, ეკონომიკური პროფილის მქონე გადაცემების ჟურნალისტებისთვის, 3 მედიასემინარი გაიმართა. შემოსავლების სამსახურის წარმომადგენლებმა ჟურნალისტებს, 2021 წელს საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული სიახლეებისა და სამომავლო გეგმების



შესახებ, ინფორმაცია მიაწოდეს. სემინარების მსვლელობისას, შემოსავლების სამსახურის წარმომადგენლებმა ეკონომიკურ თემებზე მომუშავე ჟურნალისტებს წარუდგინეს ვრცელი პრეზენტაციები უწყების განახლებული ვებგვერდის, ელექტრონულ სერვისებზე ახალი საგადასახადო შეღავათების, ასევე დღგ-ის რეფორმის, საბაჟო რისკების დერეფნებისა და უახლესი ელექტრონული სატრანზიტო სისტემის” (NCTS) დანერგვის შესახებ. მედიასემინარები კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა.




საბაჟოს საერთაშორისო დღე

Covid-19-ის გავრცელების პრევენციის მიზნით, თბილისის გაფორმების ეკონომიკურ ზონაში, ონლაინ ფორმატში, ფინანსთა მინისტრის და შემოსავლების სამსახურის ხელმძღვანელი პირების მონაწილეობით, საბაჟოს საერთაშორისო დღე აღინიშნა. ღონისძიება გაიმართა სლოგანით - „საბაჟო ეკონომიკის აღდგენის სამსახურში“. საბაჟოს საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე მაღალი პროფესიონალიზმისთვის, მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის (WCO) მიერ დაწესებული ღირსების მონმობები სამსახურის 18 თანამშრომელს და პარტნიორ უწყებებს გადაეცათ.



შემოსავლების სამსახურის აქტივობა საინფორმაციო საშუალებების მიხედვით



საგადასახადო და საბაჟო ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებული კანონშესაბამისობის აგაღება

დაინსტალაციაზე პირთა საჭიროებაზე ორიენტირებული სერვისების განვითარება

სამსახურის მიერ გაწეული სერვისები უნდა შეესაბამებოდეს მაღალ სტანდარტებს, პასუხობდეს თანამედროვე ტენდენციებს, ორიენტირებული იყოს მომხმარებელთა საჭიროებებზე, ხელს უწყობდეს საგადასახადო და საბაჟო ვალდებულებების შესრულების გამარტივებასა და ნებაყოფლობითი კანონშესაბამისობის ამაღლებას. ამ მიმართულებით, 2021 წელს შემოსავლების სამსახურის მიერ განხორციელდა მნიშვნელოვანი პროექტები, კერძოდ:

- ▶ სრული დატვირთვით ამუშავდა შემოსავლების სამსახურის უახლესი ციფრული მოთხოვნების შესაბამისი, განახლებული ვებგვერდი www.rs.ge. ახალი დიზაინითა და დამატებითი ფუნქციებით, ვებგვერდის გამოყენება ბევრად უფრო გამარტივდა და მაქსიმალურად მოერგო გადასახადის გადამხდელის მოთხოვნებს.
- ▶ გადასახადის გადამხდელების მხრიდან დისტანციური მომსახურების მიმართ გაზრდილი მოთხოვნის საპასუხოდ, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ N996 ბრძანებაში შევიდა ცვლილება, რომლის საფუძველზე საქართველოს მოქალაქე ფიზიკურ პირებს შესაძლებლობა მიეცათ დისტანციურ რეჟიმში განახორციელონ გადასახადის გადამხდელად რეგისტრაცია, ვიდეო ბარის გამოყენებით (videocall.rs.ge).
- ▶ დაინერგა მალფუჭებად ტვირთებზე ინფორმაციის ელექტრონული გაცვლის უახლესი სისტემა.
- ▶ ექსპორტიორი კომპანიის წარმომადგენლებს „ერთი ფანჯრის პრინციპით“ შეუძლიათ სწრაფად და მარტივად ისარგებლონ ყველა სახის საბაჟო პროცედურით, ასევე, მიიღონ წარმოშობის სერტიფიკატი დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენის გარეშე.

**გადასახადის განხორციელების
პროცესში, ელექტრონული
ფორმით მომართვის
წახალისებას და
დისტანციური სერვისების
პოპულარიზაციას
განსაკუთრებული
მნიშვნელობა ენიჭება**



- ▶ სამსახურის მიერ შეთავაზებულ სერვისებზე მოხმარებლის მხრიდან უკუკავშირის დაფიქსირების, მისი შენახვის, დამუშავების, გაანალიზებისა და შესაბამისი რეაგირების განხორციელების მიზნით, შემოსავლების სამსახურის ვებგვერდზე დაინერგა უკუკავშირის ერთიანი სისტემა და მიმდინარეობს მისი ყოველდღიური/ყოველთვიური ანალიზი. აგრეთვე, სისტემა დანერგილია შემოსავლების სამსახურის შემდეგ საკომუნიკაციო არხებზე და მიმდინარეობს მისი ყოველთვიური ანალიზი:

- სერვისცენტრები;
- ✉ info@rs.ge
- ☎ 032 2 299 299
- 💬 ონლაინ ჩატი: RS ჩატი

შემოსავლების სამსახურში უკვე დანერგილია უკუკავშირის სისტემა და 2022 წლის იანვრიდან მოხდება მიღებული უკუკავშირის ანალიზი ქვემოთ ჩამოთვლილ საკომუნიკაციო არხებზე:


- წინასწარი დეკლარირების სერვისი;
 - დავების დეპარტამენტი;
 - სასაქონლო კოდის შესახებ წინასწარი გადაწყვეტილება;
 - საქონლის წარმოშობის ქვეყნის შესახებ წინასწარი გადაწყვეტილება;
 - ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის იმპორტის ნებართვის გაცემა;
 - ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული წარმოშობის პროდუქციის იმპორტის ნებართვის გაცემა.
- ▶ საგადასახადო და საბაჟო სერვისების განვითარების, ასევე, სერვისების განვითარების 2021-2024 წლების სტრატეგიით გათვალისწინებული ღონისძიებების უზრუნველსაყოფად, 2021 წელს შემუშავდა სერვისების ელექტრონული კატალოგის ფორმატი, რომელშიც უნდა განთავსდეს შემოსავლების სამსახურის სერვისების შესახებ ინფორმაცია. ინფორმაციის ნაწილი ხელმისაწვდომი იქნება შემოსავლების სამსახურის ვებგვერდზე გარე დაინტერესებული პირებისთვის. კატალოგში განხორციელდება სერვისთან დაკავშირებული ყველა საჭირო ინფორმაციის განთავსება.

შემოსავლების სამსახურის მიერ მომხმარებლისთვის შეთავაზებული ელექტრონული სერვისების ფართო სპექტრის მიუხედავად, გამოწვევას წარმოადგენს მომსახურების გამწევ სტრუქტურულ ერთეულებში ვიზიტორების რაოდენობა. შესაბამისად, განხორციელდა იმ განცხადებების დამუშავება, რომელთა შესრულება სერვისცენტრის თანამშრომლების მხრიდან საჭიროებს ხანგრძლივ დროს და დოკუმენტაციის განხილვას. შემოსავლების სამსახურის უფროსის 2011 წლის 2 ივნისის N 2742 ბრძანებაში განხორციელებული ცვლილებით, 2021 წლის 27 სექტემბრიდან აღნიშნული სერვისების ნაწილი გადავიდა „ბექ ოფისის“ ფუნქციებში.

აგრეთვე, საგადასახადო აღრიცხვის განხორციელების ვადებთან დაკავშირებით, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ N996 ბრძანებაში განხორციელდა ცვლილება, რომლის შესაბამისად საგადასახადო აღრიცხვის განხორციელების ვადად განისაზღვრა არაუგვიანეს 5 სამუშაო დღე.

დისტანციური სერვისების გამოყენების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილებაში განხორციელდა ცვლილება, რომელიც ითვალისწინებს შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების განწევისათვის დადგენილი საფასურების გადახდის ახალი პირობის (საფასურის გადახდისგან გათავისუფლების ან განახევრების) შემოღებას იმ პირებისთვის, რომლებიც შესაბამისი მომსახურების განწევის მოთხოვნით შემოსავლების სამსახურს განცხადებას წარუდგენენ ელექტრონული ფორმით, მათივე ავტორიზებული მომხმარებლის გვერდიდან. საფასურების ცვლილება შეეხო 14 სერვისს. შემოსავლების სამსახურში 2021 წელს 900 ათასამდე ელექტრონული განცხადება დარეგისტრირდა. აქედან, გადასახადის გადამხდელებს შესაძლებლობა ჰქონდათ 750 ათასი განცხადება (83%) ავტორიზებული მომხმარებლის გვერდიდან შეევსოთ, საიდანაც აღნიშნული სერვისი გამოიყენეს 600 ათას განცხადებაზე.

- ▶ შემოსავლების სამსახურის მოძრავი სერვისცენტრი (RS CAR მიკროავტომუსი) მეწარმე სუბიექტებს საქართველოს მასშტაბით, 25-30 ლოკაციაზე ემსახურება. RS CAR აღჭურვილია შემოსავლების სამსახურის სერვისცენტრებში არსებული ტექნიკური საშუალებებით. შესაბამისად, გადასახადების გადამხდელებს შესაძლებლობა აქვთ, მათთვის ხელსაყრელ დროსა და სივრცეში, დასახლებული პუნქტიდან გაუსვლელად, დროულად მიიღონ სასურველი მომსახურება.



მოქმედ და პოტენციური გადასახადის გადამხდელთა ცნობიერების დონის ამაღლება



ერთიანი მეთოდოლოგიური ბაზის შექმნა

მოქმედ და პოტენციურ გადასახადის გადამხდელთა ცნობიერების დონის ასამაღლებლად შემოსავლების სამსახურში, USAID-ის და EBRD-ის მხარდაჭერით, მიმდინარეობს ერთიანი მეთოდოლოგიური ბაზის შექმნის პროექტი, რაც გულისხმობს ერთიან მიდგომებზე დაფუძნებული ელექტრონული საძიებო პლატფორმის ჩამოყალიბებას. ერთიან მეთოდოლოგიურ ბაზაში სისტემატიზებული ფორმით განთავსდება და მუდმივად განახლდება სხვადასხვა სახის ინფორმაცია, რომელიც განკუთვნილი იქნება, როგორც სამსახურის თანამშრომლებისთვის, ასევე გარე დაინტერესებულ პირთათვის.

ერთიან მეთოდოლოგიურ ბაზაში განთავსდება და მუდმივად განახლდება სხვადასხვა სახის ინფორმაცია, მათ შორის:

- საკანონმდებლო აქტები, საერთაშორისო ხელშეკრულებები, ფინანსთა მინისტრის ბრძანებები, შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანებები, მთავრობის დადგენილებები და სხვა;
- მეთოდური მითითებები, საჯარო გადაწყვეტილებები, სიტუაციური სახელმძღვანელოები და სხვა;
- საგადასახადო/საბაჟო დავის განმხილველი ორგანოების გადაწყვეტილებები;
- და სხვა.

ერთიანი მეთოდოლოგიური ბაზის შექმნის პროექტი ორ წლიანია, პლატფორმის საცდელი ვერსიის გაშვება იგეგმება 2023 წლიდან.

სტრატეგიული ამოცანის ფარგლებში, დამტკიცდა „საგადასახადო და საბაჟო სფეროში მოქმედი და პოტენციური გადასახადის გადამხდელების, ასევე საზღვრის მკვეთი პირების ცნობიერების დონის ამაღლების სტრატეგია“, რომელიც შემოსავლების სამსახურის 2021-2024 წლების სტრატეგიის, საგადასახადო და საბაჟო სფეროში ცნობიერების დონის ამაღლების კონცეფციისა და შემოსავლების სამსახურის სხვა შესაბამისი სტრატეგიების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

პროექტის მიზანია ზემოაღნიშნული სტრატეგიებითა და კონცეფციით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების უზრუნველყოფა, რაც ხელს შეუწყობს მოქმედი და პოტენციური გადასახადის გადამხდელების და საზღვრის მკვეთი პირების ცნობიერების დონის ამაღლებას საგადასახადო/საბაჟო ვალდებულებებთან, ასევე, სანიტარიულ, ფიტოსანიტარიულ და ვეტერინარულ სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლთან დაკავშირებით. პროექტი, აგრეთვე, მიზნად ისახავს პრაქტიკის ანალიზის შესაძლებლობის შექმნას და დავების განმხილველი ორგანოების გადაწყვეტილებების განჭვრეტადობის უზრუნველყოფას.








პროექტის შედეგად, დაინერგება თვითმომსახურების ახალი ინსტრუმენტი, რომელიც საგადასახადო და საბაჟო ადმინისტრირებასთან დაკავშირებული საკითხების ერთიან, ადვილად მოხმარებად სივრცეში თავმოყრას უზრუნველყოფს.

კანონთან შესაბამისობის სფეროში არსებული საგადასახადო რისკების მართვის პროცესის გაძლიერება

საგადასახადო რისკების მართვის პროცესის გაძლიერების მიზნით, 2021 წელს, შემოსავლების სამსახურში სრულად ამოქმედდა კანონშესაბამისობის რისკის მართვის ახალი პროგრამები, რაც გულისხმობს გადასახადის გადამხდელის საქმიანობასთან დაკავშირებულ შესაძლო შეუსაბამოების შესახებ მათ ადრეულ ეტაპზე ინფორმირებას და მიმდინარე კონტროლის ღონისძიებების ეფექტიან გამოყენებას. ღონისძიების ფარგლებში განხორციელდა შემდეგი პროგრამების დანერგვა:

- რეგისტრაციის ბაზის სისრულე, რომლის მიზანია სამეწარმეო საქმიანობის განმახორციელებელი პირების შესახებ სარეგისტრაციო მონაცემების ბაზაში დროული და სრული ასახვა, ასევე დაინტერესებული პირების ინფორმირება მათი სარეგისტრაციო ვალდებულებების შესახებ;
- დღგ-ის კვალიფიციური გადამხდელების სტატუსის განსაზღვრა, რომლის მიზანია რისკებზე დროული რეაგირება და დღგ-ის გადამხდელად არამიზნობრივი რეგისტრაციების რაოდენობის შემცირება;
- დაქირავებულ პირთა რეესტრის პროგრამა, რაც მიზნად ისახავს დაქირავებულ პირთა შესახებ დამქირავებლების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორის კონტროლს;
- დეკლარაციის ჭრილში წარმოდგენილი ინფორმაციის ვალიდაცია, რომლის მიზანს წარმოადგენს გადასახადების მიხედვით გადასახადის გადამხდელთა რეესტრის ვალიდაცია და დროული დეკლარირების უზრუნველყოფა;
- დღგ-ის ავტომატური დაბრუნების ვალიდაციის რისკის მოდული, რომლის მიზანია გადასახადის გადამხდელების მიერ დღგ-ის დეკლარირების პროცესში დამცველი შეცდომების შემცირება;
- დასაბეგრი საგადასახადო დოკუმენტების მართვა, რაც მიზნად ისახავს გამოწერილი და დაუბეგრავი დოკუმენტების რაოდენობის შემცირებას;
- მონაცემთა ხარისხის კონტროლი, რომლის მიზანია შემოსავლების სამსახურის მონაცემთა ბაზაში გადასახადის გადამხდელთა შესახებ მონაცემების სისწორის და სისრულის უზრუნველყოფა;
- მარაგების მართვა, მიზნად ისახავს დაუდევლარირებელი მარაგების რისკის მქონე გადასახადის გადამხდელთა რაოდენობის შემცირებას.

2021 წელს კანონმდებლობის პროგრამების ფარგლებში განხორციელებული აქტივობები და შედეგები







ძირითად გადასახადებში დეკლარაციების აუდიტის პროგრამის დანერგვა

2021 წელს დეკლარაციების სისწორის კონტროლის ფარგლებში, გადასახადის გადამხდელების მიერ წარმოდგენილი საშემოსავლო, მოგების და დღგ-ის 15,969 დეკლარაცია იქნა შესწავლილი. დეკლარაციების კონტროლის განხორციელების შედეგად, გადასახადის გადამხდელების მიერ დაზუსტებულმა თანხამ შეადგინა 67,170,364 ლარი.

დეკლარაციების კონტროლის შედეგები




გადახდელთა მიერ დაზუსტებული თანხები





სავარაუდო დარიცხვის პროგრამა

2020 წლიდან უწყებაში სავარაუდო დარიცხვის პროგრამა ამოქმედდა. სავარაუდო დარიცხვა გულისხმობს, საგადასახადო ორგანოს მიერ კონკრეტული საგადასახადო პერიოდისთვის გადასახადის აღრიცხვასა და ასახვას იმ გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ძირითად ბარათზე, რომელსაც კანონმდებლობით დადგენილ ვადაში, შესაბამისი პერიოდის დეკლარაცია არ აქვს წარმოდგენილი. პირველ ეტაპზე გავრცელდა საშუალო სიდიდის კატეგორიის გადასახადის გადამხდელების (გარდა ფიზიკური პირების) მიერ წარუდგენელი დღგ-ის დეკლარაციების მიმართ, ხოლო 2021 წლის აპრილიდან, პროგრამა გავრცელდა ყველა სიდიდის კატეგორიის გადასახადის გადამხდელის (გარდა ფიზიკური პირების) დღგ-ის წარუდგენელი დეკლარაციების მიმართ.



ბუნებრივი რესურსების მოსაკრებლის ადმინისტრირება

შემოსავლების სამსახურსა და სსიპ წიაღის ეროვნულ სააგენტოს კოორდინირებული მუშაობის შედეგად, 2021 წელს დაინერგა ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებლის ადმინისტრირების ავტომატური პროგრამა. პროგრამის მეშვეობით, მოსაკრებლის ადმინისტრირება გახდა ავტომატიზებული, კერძოდ, დაინერგა ბუნებრივი რესურსების სარგებლობისათვის გაანგარიშების ავტომატური ვალიდაციისა და სავარაუდო დარიცხვის ავტომატური მექანიზმები, რამაც ადმინისტრირების პროცესი გახადა მოქნილი და ეფექტური.

პროექტის ფარგლებში, დაიდენტიფიცირდა ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის მქონე პირები და შეიქმნა მონაცემთა ელექტრონული ბაზა. მონაცემების დამუშავების პარალელურ-



რად, ავტომატური დარიცხვის პროგრამის წარმატებით ფუნქციონირებისთვის, წიაღის სააგენტოს ბაზიდან მონაცემების მიღების მიზნით, სააგენტოსთან გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. ასევე, განხორციელდა პროექტის ამოქმედებამდე გაცემული მატერიალური დოკუმენტების (ლიცენზიების და ლიცენზიის) ფარგლებში გაცემული ათვისების გეგმების) გაელექტრონულება და მონაცემების ერთიან ელექტრონულ ბაზაში ინტეგრირება.

ავტომატური პროგრამის ამოქმედებამდე შემუშავდა 2017-2020 წლებზე განსახორციელებელი სავარაუდო დარიცხვების გეგმა. წინასწარ შემუშავებული დარიცხვის მეთოდოლოგიის შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადის გათვალისწინებით, განხორციელდა შესაბამისი სავარაუდო დარიცხვები. აღნიშნული დარიცხვების და მიმდინარე პროცესების თაობაზე ხდებოდა ლიცენზიის მფლობელი გადასახადის გადამხდელების მუდმივი ინფორმირება, როგორც დისტანციური არხების, ასევე, პირისპირ შეხვედრების ფორმატში. შეხვედრები ჩატარდა თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში, რომელთა ფარგლებში განხორციელდა ლიზენციის მფლობელ გადასახადის გადამხდელთათვის პროექტის ყველა სიახლისა და უპირატესობების შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, შემოსავლების სამსახურს მიეცა წიაღის ეროვნული სააგენტოს პორტალზე წვდომის შესაძლებლობა, რაც უზრუნველყოფს სამსახურის მხრიდან დროითი რესურსის დაზოგვას და საგადასახადო მემონუმების შეუფერხებელი განხორციელების მიზნით, საჭირო დოკუმენტების დროულ მოპოვებას. აგრეთვე, მნიშვნელოვნად შემცირდა გადასახადის გადამხდელის მხრიდან დამატებით დოკუმენტაციის წარმოდგენის შესახებ გასაგზავნი მოთხოვნების რაოდენობა.



საქონლის ძიების და ნებართვების გაცემის ერთიანი ელექტრონული სისტემა

სასაქონლო კოდით საქონლის ძიების და ნებართვების გაცემის ერთიან ელექტრონულ სისტემაში ჩართულია ყველა სახელმწიფო უწყება და ამოქმედებულია ერთი ფანჯრის პრინციპით შემოსავლების სამსახურის ვებგვერდიდან www.rs.ge ყველა სახის ნებართვა/სერტიფიკატის ელექტრონულად მოთხოვნის და მიღების სერვისი.



eTIR სისტემის დანერგვა

2021 წლის მაისში გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის-UNECE TIR სამდივნოს მხარდაჭერით დამტკიცდა TIR კონვენციის მე-11 დანართი, რომელიც TIR სისტემის გაციფრულებას გულისხმობს. აღნიშნული ინიციატივის ფარგლებში 2020-2021 წლებში შემოსავლების სამსახური ჩაერთო eTIR პროექტის დანერგვაში, რომელიც გულისხმობს TIR ინფორმაციის ელექტრონულად გაცვლას საქართველოსა და გაეროს ერთიან სერვერს შორის. დაგეგმილია, რომ აღნიშნული პლატფორმით მოხდება კონვენციის ყველა მონაწილე საბაჟო ადმინისტრაციას შორის TIR ინფორმაციის გაცვლა.

საგაუმო კანონდარღვევების გამოვლენის, აღკვეთის და თავიდან ასცილების მექანიზმების გაძლიერება



სტრატეგიული დანიშნულების საქონლისთვის ელექტრონული დაცვა სისტემა - STRATLINK

ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ექსპორტის კონტროლისა და საზღვრის უსაფრთხოების პროგრამის (EXBS) მხარდაჭერით, შემოსავლების სამსახურს გადმოეცა ელექტრონული ლიცენზირების თანამედროვე საინფორმაციო სისტემა „STRATLINK“.

აღნიშნული სისტემის საშუალებით, სხვადასხვა ბიზნეს ოპერატორს შესაძლებლობა ექნება შემოსავლების სამსახურის ვებგვერდზე www.rs.ge ავტორიზაციის გავლის შედეგად, შეავსოს განაცხადი, როგორც ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ნებართვის მიღების, ასევე, ნებართვის საჭიროების დადგენის მიზნით. განაცხადისა და ნებართვის გაცემისთვის საჭირო ინფორმაციის სრულად წარდგენის შემდეგ, საბაჟო დეპარტამენტის მიერ გაიცემა ნებართვა, რომელიც შემოსავლების სამსახურის ვებგვერდის საშუალებით გაეგზავნება თავად ნებართვის მაძიებელს.

სტრატეგიული დანიშნულების საქონელზე შემუშავებული უახლესი ელექტრონული სალიცენზიო სისტემის დანერგვა მნიშვნელოვანია, როგორც სტრატეგიული საქონლით უკანონო ვაჭრობის გამოვლენისა და გავრცელების აღკვეთის პროცესში, ასევე არალეგალური ტრანზაქციების კონტროლისთვის, რასაც თავის მხრივ, სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

საგადასახადო დავალიანების მართვის სისტემის გაუმჯობესება


ბოლო წლების განმავლობაში შემოსავლების სამსახურში განხორციელებული რეფორმების საფუძველზე, ვალის მართვის ფუნქციის გაძლიერების მიზნით, მოხდა რესურსების გადანაწილება სათაო ოფისსა და საოპერაციო დეპარტამენტს შორის, რომლის მიხედვითაც ვალის მართვის პროგრამის შემუშავებაზე პასუხისმგებელია სათაო ოფისი, ხოლო გადასახადის გადამხდელებთან ურთიერთობაზე საოპერაციო დეპარტამენტი.

მიუხედავად იმისა, რომ გადასახადის გადამხდელთა უმეტესობა ნებაყოფლობით ადეკლარირებს და იხდის კუთვნილ გადასახადს, დავალიანების მართვა კვლავ გამოწვევად რჩება შემოსავლების სამსახურისთვის.

რეფორმის ფარგლებში, შემოსავლების სამსახურში შეიქმნა ვალის მართვის დეპარტამენტი, რომლის მთავარ ფუნქციას წარმოადგენს საგადასახადო დავალიანების ეფექტიანი ადმინისტრირება. 2021 წელს დამტკიცდა ვალის მართვის 2022-2024 წლების სტრატეგია, რომელიც მიზნად ისახავს საგადასახადო დავალიანების დროულად გადახდის მაჩვენებლის გაუმჯობესებას და დაგროვილი საგადასახადო დავალიანების მოცულობის შემცირებას.



გემოაღნიშნული მიზნის მისაღწევად, მომდევნო წლებში დაგეგმილია 3 ძირითადი ამოცანის შესრულება:



2022 წლის მესამე კვარტალში საგადასახადო დავალიანების მართვის ახალ სისტემაზე გადასვლა იგეგმება.

საგადასახადო შემოწმების პროცესის გაუმჯობესება

შემოსავლების სამსახურში 2020 წლიდან ხორციელდება დასრულებული საგადასახადო აუდიტების ანალიზი დამტკიცებული კანონშესაბამისობის ხარისხის კონტროლის სტანდარტების შესაბამისად. 2021 წელს შემთხვევითობის პრინციპით შერჩეულ იქნა 300-მდე დასრულებული (მათ შორის ნულოვანი შედეგით დასრულებული) აუდიტი და განხორციელდა მათი შესწავლა/ანალიზი. აგრეთვე, გაანალიზდა დავის განმხილველი ორგანოების გადაწყვეტილებები. შემუშავდა მეთოდოლოგიური მითითებები, რომლის გამოყენებაც სავალდებულოა საგადასახადო შემოწმების განხორციელების პროცესში და ინტეგრირდა აუდიტის საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაში (CMS).



საკანონმდებლო და პროცედურული სიახლეები

საგადასახადო შემოწმების დაგეგმვის და ეფექტიანი მართვის მიზნით:

- ▶ განხორციელდა ზედმეტად გადახდილი თანხების დაბრუნების პროცესში მატერიალური ფორმით წარსადგენი შესაბამისი დოკუმენტების (დასკვნა, საგადახდო მოთხოვნა) გაციფროვნება. კერძოდ, გადასახადების ადმინისტრირების საინფორმაციო სისტემაში სათანადო პროგრამული მოდულების გამოყენებით, დაიწყო ელექტრონული დასკვნების შედგენა, ასევე, ელექტრონულად გენერირდება სათანადო საგადახდო დავალებები და ამავე ფორმით წარედგინება სახელმწიფო ხაზინას, ხოლო თანხის დაბრუნებაზე მიღებული დადებითი გადაწყვეტილების თაობაზე გადასახადის გადამხდელს პასუხი ეგზავნება ავტომატურ რეჟიმში. ელექტრონული ფორმით. შემოსავლების სამსახური მსგავსი სერვისების დანერგვით, მნიშვნელოვნად ამარტივებს სამუშაო პროცესს და უზრუნველყოფს მათ შორის, მოქალაქეთა დროითი რესურსის დაზოგვას.

- ▶ გადასახადების ადმინისტრირების პროცესში ხარვეზებისა და უზუსტობების მნიშვნელოვნად აღმოფხვრის, გადასახადის გადამხდელებთან თანამშრომლობისა და კომუნიკაციის გაუმჯობესების, ამასთან ერთიანი პრაქტიკული და მეთოდოლოგიური მიდგომების ჩამოყალიბების მიზნით, შემოსავლების სამსახურმა დაიწყო დავების გადანაცვეტილებების აღსრულების პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს შემოწმებით დაკისრებული გადასახადების 10%-ზე მეტით შემცირებისას, სადავო საკითხების შინაარსობრივ გადახედვას სამსახურის ხელმძღვანელობის ჩართულობით.
- ▶ საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკასთან დაახლოების მიზნით, ზუსტი და რისკზე დაფუძნებული საგადასახადო შემოწმების განხორციელებისათვის და საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) რეკომენდაციების გათვალისწინებით, აუდიტის დეპარტამენტში შეიქმნა II დონის კონტროლის ხარისხობრივი გადასინჯვის ჯგუფი, რომლის მუშაობაც ხელს უწყობს საგადასახადო შემოწმების შედეგების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის კონტროლს. ასევე, კონკრეტული გადასახადის გადამხდელის საქმიანობის შესწავლით, საგადასახადო შემოწმებით გათვალისწინებული საკითხების, კონკრეტული სამეურნეო ოპერაციების/ქმედებების მიხედვით საგადასახადო ვალდებულებების სწორად შეფასების და ამასთან, სხვაობების გამოვლენის შემთხვევაში, ხარვეზების აღმოფხვრის კუთხით უზრუნველყოფს გასატარებელი ღონისძიებების განსაზღვრას.
- ▶ აღსანიშნავია, რომ 2021 წლის განმავლობაში შემუშავდა პროცედურული ნორმები, როგორც საგადასახადო, ისე საბაჟო მიმართულებით, რაც ითვალისწინებს ბიზნესის საჭიროებებზე ორიენტირებულ მოთხოვნებს და ამავდროულად იძლევა საგადასახადო და საბაჟო მიმართულებით სათანადო ადმინისტრირების შესაძლებლობას, კერძოდ:
 - განხორციელდა წინასწარი საფასო შეთანხმების აქტის მომზადება APA (2021). აღნიშნული წარმოადგენს სატრანსფერო ფასწარმოქმნასთან დაკავშირებული რისკების შემცირების ეფექტურ მექანიზმს, იმდენად რამდენადაც გადასახადის გადამხდელის და შემოსავლების სამსახურის მიერ ოპერაციის განხორციელებამდე შეთანხმებული იქნება კრიტერიუმები, რომლებიც გავლენას მოახდენს კონტროლირებული ოპერაციის ფასზე. შესაბამისად, გადასახადის გადამხდელისთვის მარტივდება განსაზღვროს ის საგადასახადო შედეგები, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას კონტროლირებული ოპერაციის განხორციელებისას.


ორგანიზაციის ინსტიტუციური უსაქლობოების განვითარება და გდგრადობა

ადამიანური რესურსების განვითარების სფეროში თანამდროვე მიდგომების განხორციელება


კომპეტენტური, პროფესიონალი, მოტივირებული და რეაქტიუბული ადამიანური რესურსის სამსახურის წარმატებისთვის აუცილებელი პირობაა

შემოსავლების სამსახურში დასაქმებული თანამშრომლების სტატისტიკა

თანამშრომელთა გენდერული გადანაწილება



თანამშრომელთა ასაკობრივი ჯგუფებში გადანაწილება



- 21 წლიდან - 30 წლამდე
- 30 წლიდან - 40 წლამდე
- 40 წლიდან - 50 წლამდე
- 50 წელს ზემოთ

2021 წელს განხორციელებული ღონისძიებები



- დაინერგა მიზნებზე (70%) და კომპეტენციებზე (30%) დაფუძნებული თანამშრომელთა საქმიანობის შეფასების სისტემა რომლის მიზანია - სამსახურის ორგანიზაციული განვითარების ხელშეწყობა, მართვის სისტემის დახვეწა, თანამშრომელთა პროდუქტიულობის ზრდა და მათი ძალისხმევის წარმართვა ორგანიზაციული მიზნების მისაღწევად. სისტემის მეშვეობით განხორციელდა 2 შუალედური (კვარტალური) და საბოლოო (წლიური) შეფასება;
- შესრულებული სამუშაოს შეფასების შედეგებიდან გამომდინარე, დაწინაურდა 150 თანამშრომელი (მათ შორის 34 საშუალო და მაღალი რგოლის მენეჯერულ პოზიციაზე), სხვა სტრუქტურულ ქვედანაყოფში განხორციელდა 220 თანამშრომლის ჰორიზონტალური გადაადგილება, სახელფასო კოეფიციენტი მოემატა 462 თანამშრომელს;
- განსაკუთრებული სირთულის და მნიშვნელობის დავალების შესრულებისთვის მადლობის სიგელი გადაეცა 105 თანამშრომელს;
- საჯარო სამსახურის ბიუროს ადმინისტრირებული ვებ-გვერდის www.hr.gov.ge მეშვეობით ღია და გამჭვირვალე კონკურსის საფუძველზე შეირჩა და ვაკანტურ პოზიციებზე დაინიშნა 46 თანამშრომელი. აგრეთვე, შეირჩა 220 სტაჟიორი, რომლებიც თეორიულ და პრაქტიკულ სწავლებას გადიან სხვადასხვა დეპარტამენტებში;
- პროფესიული და პიროვნული უნარ-ჩვევების განვითარების მიმართულებით ტრენინგი გაიარა 1500 - მდე თანამშრომელმა;
- კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიმართულებით ჩატარებული ღონისძიებების შედეგად ვაქცინირებულია შემოსავლების სამსახურის თანამშრომელთა 90%;
- განხორციელდა თანამშრომელთა ჩართულობის და კმაყოფილების კვლევა, რომლის საფუძველზე გამოვლინდა თანამშრომლების და მენეჯერების ჩართულობის მაჩვენებელი, მათი კმაყოფილების დონე სამსახურის საქმიანობის სხვადასხვა პარამეტრების და ეფექტურობის მიმართ, ასევე გამოკვლეული იქნა ის ფაქტორები, რომლებიც თანამშრომელთა მოტივაციაზე მოქმედებენ. კვლევის შედეგების მიხედვით, თანამშრომელთა ჩართულობა და გუნდურობა სამსახურის ძლიერ მხარეებს წარმოადგენს. კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე მზადდება მოტივაციის ამაღლების პოლიტიკის დოკუმენტი;
- შემუშავდა თანამშრომელთა პროფესიული განვითარების პოლიტიკის და პროცედურების დოკუმენტი, რომლის მიზანია თანამშრომელთა პროფესიული ცოდნისა და უნარების უწყვეტი განვითარების ხელშეწყობა, რაც თავის მხრივ თანამშრომელთა მიერ მათი ფუნქცია-მოვალეობების მაღალი ხარისხით შესრულებას უკავშირდება და სამსახურის ფუნქციების ეფექტიანად განხორციელებას უზრუნველყოფს;

- 

ორგანიზაციის შიდა შესაძლებლობების გაძლიერებისა და საოპერაციო პროცესის სტანდარტიზების მიზნით, შემუშავდა „საოპერაციო დაგეგმვის სახელმძღვანელო“, სადაც გაიწერა საოპერაციო დაგეგმვის ძირითადი პრინციპები, მათ შორის საოპერაციო გეგმების შედგენის, შესრულების მონიტორინგის და ანგარიშგების წესი. დოკუმენტი, ასევე, განსაზღვრავს საოპერაციო გეგმის შედგენის პროცესში ჩართული სტრუქტურული ერთეულების როლებს და პასუხისმგებლობებს;
- 

განხორციელდა საოპერაციო დეპარტამენტის მიერ შესრულებული/შესასრულებელი აქტივობების იდენტიფიცირება, მონაცემთა შეგროვება, ანალიზი და ძირითადი აქტივობების განხორციელებისთვის საჭირო დროის და პრომითი რესურსის განსაზღვრა.

ინფორმაციული უსაფრთხოების სისტემის თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა

ინფორმაციული უსაფრთხოების გაძლიერების მიზნით, 2021 წელს შემოსავლების სამსახურში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- ▶ საგადასახადო ინფორმაციის ავტომატური გაცვლის საპილოტე პროექტის (AEOI Pilot) ფარგლებში მომზადდა ვრცელი მასალა გლობალური ფორუმის მიერ ინფორმაციული უსაფრთხოების შეფასების პროცესების და კონფიდენციალურობისა და მონაცემთა შეფასების შევსებული კითხვარის საპასუხოდ. ასევე, შემუშავდა დეტალური სამოქმედო გეგმა მიღებული რეკომენდაციების შესაბამისად გლობალური ფორუმის წარმომადგენლების შესაფასებელი ვიზიტისთვის;
- ▶ ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის ონლაინ ხელსაწყო ინტეგრაცია დასასრულს უახლოვდება, სადაც რეგისტრირდება ინფორმაციული აქტივები, აქტივებთან იდენტიფიცირებული რისკები და მათთან მისადაგებული კონტროლები;
- ▶ განხორციელდა ახალი აქტივების და მათთან დაკავშირებული რისკების იდენტიფიცირება, აგრეთვე, რისკების შემცირების მიზნით შემუშავდა შესაბამისი კონტროლები;
- ▶ მომზადდა ახალი კურსი ინფორმაციული უსაფრთხოების ცნობიერების ამაღლებისთვის შემოსავლების სამსახურის თანამშრომელთათვის.

საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემების გაუმჯობესება

მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით განხორციელდა IT სისტემის შეფასების პროექტი, IT Diamond მოდულის საშუალებით, რომლის ფარგლებში შეფასდა სამი მიმართულება:

- ▶ IT ინფრასტრუქტურა;
- ▶ ინფრასტრუქტურული საჭიროებები;
- ▶ მონაცემთა უსაფრთხოება.

შეფასების შედეგების საფუძველზე იგეგმება მსოფლიო ბანკის ექსპერტების მიერ გზამკვლევის მომზადება იმ ღონისძიებების შესახებ, რაც უნდა გატარდეს შეფასების შედეგად გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად. ასევე, იგეგმება თანამშრომლობის გაღრმავება აღნიშნული შეფასების შედეგების გათვალისწინებით.



აუდიტის საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა

2021 წელს, შემოსავლების სამსახურში რეალურ რეჟიმში ამოქმედდა აუდიტის საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა. ახალი სისტემის - Microsoft Dynamics CRM-ის მიზანია, საგადასახადო შემონმების პროცესების გაციფროვნება და მისი ეფექტიანად წარმართვა, რომლის საშუალებითაც მოხდება საგადასახადო შემონმების მთლიანი პროცესის ელექტრონული ზედამხედველობა.

ახალი პროგრამის საშუალებით განხორციელდება საგადასახადო შემონმების ყველა ეტაპის (დაგეგმვიდან დასრულებამდე) პროგრამულად ასახვა და თანამშრომლებს ელექტრონული წვდომა ექნებათ ყველა იმ დოკუმენტთან (საკანონმდებლო აქტები, დავების გადანაცვეტილება, აუდიტის დასკვნა და სხვა.), რომელიც საჭიროა მიმდინარე საგადასახადო შემონმების პროცესში.



მონაცემთა დამუშავების და ანალიზის სისტემა

2021 წელს, შემოსავლების სამსახურში აქტიურად მიმდინარეობდა მონაცემთა დამუშავების და ანალიზის სისტემის განვითარება და დანერგვა, რომელიც უზრუნველყოფს სამსახურში არსებული და მესამე მხარიდან მისაღები მონაცემების შეგროვებას და ანალიზს, რაც ხელს შეუწყობს სამსახურის ანალიტიკურ შესაძლებლობების გაძლიერებას და სანდო ინფორმაციაზე დაფუძნებული სტრატეგიული და ოპერაციული გადაწყვეტილებების მიღებას. ასევე, გააუმჯობესებს ინფორმაციაზე ოპერატიულ წვდომას და სამსახურის ყოველდღიური საქმიანობის ეფექტიან განხორციელებას.

აღნიშნული სისტემა ახდენს მონაცემთა საცავში სხვადასხვა წყაროდან შემოსული ინფორმაციის ტრანსფორმაციას იმგვარად, რომ გამოირიცხოს ან მინიმუმამდე იქნას დაყვანილი შესაძლო ხარვეზები. სისტემაში ინტეგრირებულია სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებიდან მიღებული ინფორმაცია.

ამასთან, 2021 წლის მდგომარეობით, ინფორმაციის მიღება/გაცვლაზე ურთიერთთანამშრომლობის მეორეხარისხი გაფორმებულია ათზე მეტ სახელმწიფო უწყებასთან, რომლის ფარგლებშიც სისტემატიურ რეჟიმში მიმდინარეობს ინფორმაციის მიღება/გაცვლა.





შემოსავლების სამსახურის მიერ 2021 წელს საბაჟო-გამშვებ პუნქტებზე/მომსახურების ოფისებში სამშენებლო/სარემონტო სამუშაოების ჩატარებას, ასევე შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობის შესყიდვას და სამსახურის საჭიროების შესაბამისად სხვადასხვა მიმდინარე ღონისძიების დაფინანსებას, კერძოდ:

- ▶ საბაჟო გამშვები პუნქტი „ნინოწმინდა“- განხორციელდა ახალი საბაჟო გამშვები პუნქტის თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვა. ამასთან, შენობაში მოეწყო მსუბუქი/სატვირთო ავტომობილებისა და საპასპორტო კონტროლის ჯიხურები. ობიექტი აღიჭურვა გათბობა-ვენტილაციის ახალი თანამედროვე სისტემით. განხორციელდა ტერიტორიის შემოღობვა და განათების მოწყობა, აგრეთვე შენობამდე მისასვლელი გზის მოწყობა. შენობა აღიჭურვა ახალი ტრანსფორმატორებითა და გენერატორებით, ასევე ყველა სხვა საჭირო ტექნიკური საშუალებითა და ინვენტარით.
- ▶ საბაჟო გამშვები პუნქტი „ლაგოდეხი“- დასრულდა ახალი საბაჟო გამშვები პუნქტის მშენებლობა/რეკონსტრუქციის პირველი ეტაპის სამუშაოები: განხორციელდა ახალი შენობის მშენებლობა, შიდა სარემონტო და მოსაპირკეთებელი სამუშაოები, მოეწყო მსუბუქი და სატვირთო ავტომობილების ე.წ. „გეითები“. დამონტაჟდა თანამედროვე გათბობა-გაგრილება-ვენტილაციის სისტემები. აგრეთვე, შენობა აღიჭურვა ყველა სხვა საჭირო ტექნიკური საშუალებითა და ინვენტარით. გარდა ამისა, მომავალ წელს დასრულდება ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები.
- ▶ საქართველო-რუსეთის საზღვარზე, ყაზბეგის საბაჟო გამშვებ პუნქტზე, სახმელეთო გადაზიდვებისა და ვიზიტორების რაოდენობის ზრდის ტენდენციიდან გამომდინარე, მიმდინარე წელს დასრულდა შენობის რეკონსტრუქციის პროექტი, რომელიც ითვალისწინებს დამატებით გასასვლელებს სატვირთო ავტომობილებისათვის ე.წ. „გეითები“ რაოდენობის მატებას, აღმინისტრაციულ ნაწილზე შენობის მიშენებას, სასარგებლო ტერიტორიის გაზრდას, პარკინგის ზონის მოწყობას, ასევე, მთლიანი ობიექტის შიდა სარემონტო-მოსაპირკეთებელ სამუშაოებს. აღნიშნული სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების დასრულება, მისი მოცულობიდან გამომდინარე, დაგეგმილია 2023 წელს.

მომსახურების სტანდარტების გაუმჯობესებისა და ვიზიტორთა შეუფერხებელი გადაადგილების მიზნით, სარემონტო/სარეაბილიტაციო და კეთილმოწყობის სამუშაოები განხორციელდა შემდეგ ობიექტებზე:

- ▶ გაფორმების ეკონომიკური ზონა „თბილისი“- განხორციელდა შენობების ფასადების და შიდა სარემონტო-მოსაპირკეთებელი სამუშაოები, ტერიტორიაზე არსებული გარე განათების და საოფისე სივრცის განათების რეაბილიტაცია, სადროშე ბოძების მონტაჟი.
- ▶ საბაჟო გამშვები პუნქტი „სარფი“- განხორციელდა გზის საფარის რეაბილიტაციის სამუშაოები, მოეწყო რკინა-ბეტონის საფარი, საგზაო ნიშნების მონტაჟი და ტერიტორიის დახაზვა, გამოი-

ცვალა დაზიანებული გათბობა-გაგრილების სისტემის დანადგარები, საფეხმავლო სივრცეში განხორციელდა განათების რეაბილიტაცია.

- ▶ საბაჟო გამშვები პუნქტი „კარნახი“- სამუშაო პირობების გაუმჯობესების მიზნით განხორციელდა სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ასევე შიდა სარემონტო მოსაპირკეთებელი სამუშაოები.
- ▶ საბაჟო გამშვები პუნქტი „ვალე“- სამუშაო პირობების გაუმჯობესების მიზნით განხორციელდა სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები, გამოიცვალა დაზიანებული სექციური კარი ანგარზე.
- ▶ ქ. თბილისი, გულუას N4 - დასრულდა ისანი-სამგორის სერვის ცენტრის რეკონსტრუქციის სამუშაოები, კერძოდ ფასადის რეაბილიტაცია, შიდა სარემონტო და მოსაპირკეთებელი სამუშაოები, გათბობა-გაგრილება-ვენტილაციის სისტემის მოწყობის სამუშაოები. აგრეთვე, საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრისთვის მოეწყო ახალი საოფისე სივრცე, განხორციელდა შენობის ავარიული ნაწილის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები.
- ▶ ქ. თბილისი, კოსტავას ქ. 68ა-ში მდებარე ადმინისტრაციული შენობა - განხორციელდა ვიტრაჟული ფასადის გამაგრება, აგრეთვე, საძირკველში სარდაფის კონსტრუქციის გამაგრების პირველი ეტაპი.

საქართველოში საზღვრის და მიგრაციის მართვის მდგრადობის უზრუნველყოფის (SBMMG) პროექტის ფარგლებში, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) მიერ, ევროკავშირის ფინანსური დახმარებით, თბილისის საერთაშორისო აეროპორტის, სარფის, წითელი ხიდის და სადახლოს გამშვებ პუნქტებზე მოეწყო საიზოლაციო სივრცეები. აღნიშნული სივრცეების მოწყობა არის ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაცია, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია Covid 19-ის პანდემიის მიერ მსოფლიოში არსებული რთული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის მართვის პროცესში. პროექტის ფარგლებში შემოსავლების სამსახურის 25 ერთეულს პასპორტის წამკითხველი მოწყობილობა გადაეცა. აღჭურვილობა, ძირითად საბაჟო გამშვებ პუნქტებზე გადანაწილდება



ჯამურად, 2021 წელს, შემოსავლების სამსახურის ობიექტების სამშენებლო/სარემონტო სამუშაოებზე და ასევე სამსახურის სხვადასხვა ტექნიკითა და პროგრამული უზრუნველყოფის შესყიდვის მიზნით (არაფინანსური აქტივების ზრდა) დაიხარჯა დაახლოებით 8.6 მილიონი ლარი. აქედან, საბაჟო და საგადასახადო კონტროლის გაუმჯობესებისა და შეუფერხებლად განხორციელების მიზნით, შეძენილ იქნა კომპიუტერული ტექნიკა და მონაცემთა ბაზების უზრუნველყოფის სხვადასხვა პროგრამები, კერძოდ:

- ▶ 120 ერთეული პლანშეტური კომპიუტერი;
- ▶ საავტომობილო სასწორები - საბაჟო გამშვებ პუნქტებისთვის „ლაგოდეხი“ და „ნინოწმინდა“;
- ▶ ნომრის ამომცნობი ვიდეოკამერები;
- ▶ სატრანსპორტო საშუალებებისათვის განკუთვნილი პროგრამული გადაწყვეტილება;
- ▶ საბაჟო-გამშვებ პუნქტებზე, გაფორმების ეკონომიკურ ზონებში და მომსახურების სერვისცენტრებში განახლდა მომხმარებელთა ნაკადის მართვის და ვიდეო სისტემები და სხვა.

ამასთან, ქვეყნის მასშტაბით, სისტემატიურ რეჟიმში ხორციელდებოდა სხვადასხვა ლოკაციაზე განლაგებული, შემოსავლების სამსახურის სარგებლობაში არსებული დაახლოებით 65 ობიექტის მოვლა-პატრონობა, რაც მოიცავს ამ ობიექტების მოვლა-დასუფთავებზე ზრუნვას, განლაგებული ინვენტარის, გათბობა-გაგრილების სისტემების, ელექტროენერგიის ძირითადი და ალტერნატიული წყაროების დანადგარების, სატრანსპორტო და სხვადასხვა სპეციალური ტექნიკის უწყვეტად მუშა მდგომარეობაში ყოფნას და გამართულად ფუნქციონირებას. აგრეთვე, წლის განმავლობაში ხორციელდება შემოსავლების სამსახურის დაახლოებით 4 ათასამდე თანამშრომლის საქმიანობის მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური უზრუნველყოფა.

კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიმართულებით ჩატარებული ღონისძიებების შედეგად ვაქცინირებულია შემოსავლების სამსახურის თანამშრომელთა 90%




საერთაშორისო თანამშრომლობა

ევროკავშირთან ინტეგრაციული პროცესების მხარდაჭერა



დაგეგმიური ღონისძიებების გადსახადის ჩაწორება



საგადასახადო კანონმდებლობის ევროკავშირის დღგ-ის დირექტივასთან ჰარმონიზაციის ფარგლებში, 2021 წლის პირველ ოქტომბერს „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის N996 ბრძანებაში განხორციელებული ცვლილება შევიდა ძალაში, რის საფუძველზეც დაინერგა უცხოელი დასაბეგრი პირის მიერ დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გარეშე დღგ-ის გამოანგარიშების, ბიუჯეტთან ანგარიშსწორების და მისი ინფორმირების წესი. კერძოდ, უცხოელი დასაბეგრი პირი, რომელიც არ არის დაფუძნებული ან არ ცხოვრობს საქართველოში ან საქართველოში არ გააჩნია მუდმივი დაწესებულება და ციფრულ მომსახურებას უწევს ფიზიკურ პირებს საქართველოს ტერიტორიაზე, ვალდებულია მოახდინოს ციფრული მომსახურების განვეისთვის დღგ-ის ანგარიშგება და გადახდა. ამ მიზნით, შემოსავლების სამსახურის მიერ შემუშავდა სპეციალური პლატფორმა, რომლის მეშვეობით უცხოელი დასაბეგრი პირები გაივლიან გამარტივებულ რეგისტრაციას და მოახდენენ დღგ-ის გამოანგარიშებას და ბიუჯეტთან ანგარიშსწორებას - <https://nr.rs.ge/>. ამ ეტაპზე, პორტალზე რეგისტრირებულია 35 კომპანია. ცვლილების შედეგად განხორციელდება ციფრული მომსახურების სამართლიანად დაბეგვრა, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს დამატებითი საბიუჯეტო შემოსავლების მობილიზებას.



ახალი კომპიუტერიზებული სატრანზიტო სისტემა (NCTS)

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმების და "საბაჟო სფეროში თანამშრომლობის სტრატეგიული ჩარჩო ფორმატი ევროკავშირსა და საქართველოს შორის" ფარგლებში, შემოსავლების სამსახურში მიმდინარეობს 24 თვიანი, ახალი კომპიუტერიზებული სატრანზიტო სისტემის დანერგვის პროექტი, რომლის ბიუჯეტი შეადგენს 1 მლნ ევროს. პროექტი მიზნად ისახავს შემოსავლების სამსახურის ოპერატიული შესაძლებლობების გაძლიერებას.

საერთო სატრანზიტო პროცედურების შესახებ კონვენციასთან მიერთება და ახალი კომპიუტერიზებული სატრანზიტო სისტემის დანერგვა, წარმოადგენს კიდევ ერთ შესაძლებლობას ევროკავშირისა და საქართველოში რეგისტრირებულ ბიზნესს საბაჟო მიმართულებით, ერთობლივი რეგულაციის ზონა შეეცმნათ. აღსანიშნავია, რომ პროექტის განხორციელების შედეგად, საბაჟო დეპარტამენტის მიერ გაცემული ტრანზიტთან დაკავშირებული ერთი დოკუმენტი და გარანტია საკმარისი იქნება ევროკავშირის, ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის (EFTA) წევრი ქვეყნე-



ბის, ასევე დიდი ბრიტანეთის, თურქეთის, სერბეთისა და მაკედონიის ტერიტორიებზე საბოლოო დანიშნულების ადგილზე შეუფერხებელი ტრანზიტის განსახორციელებლად.



ფინანსური ინფორმაციის ავტომატური გაყვდა

გერმანიის ფედერალური ფინანსთა სამინისტროს და საგადასახადო მიზნებისთვის ინფორმაციის გაცვლისა და გამჭვირვალობის გლობალური ფორუმის (Global Forum) მხარდაჭერით, გრძელდება ფინანსური ინფორმაციის ავტომატური გაცვლის საპილოტე პროექტი, რომლის მიზანია საქართველოში წარმატებით დაინერგოს ინფორმაციის ავტომატური გაცვლის სტანდარტი (AEOI), რომელიც აგრეთვე ცნობილია “ანგარიშგების საერთო სტანდარტის” (Common Reporting Standard – CRS) სახელითაც.

ოფიციალურად აღებული ვალდებულების შესაბამისად, საქართველო 2024 წლის პირველი სექტემბრიდან დაიწყებს ფინანსური ანგარიშების შესახებ ინფორმაციის ავტომატურ რეჟიმში გაცვლას უცხო ქვეყნის შესაბამის უწყებებთან, რაც ხელს შეუწყობს საგადასახადო გამჭვირვალობის გაზრდას და შეამცირებს გადასახადისგან თავის არიდებას.



სანიტარიული, ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული სასაზღვრო კონტროლის განვითარების სპეციალისტების გადამზადება

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების განხორციელების 2021 წლის სამოქმედო გეგმის მიხედვით, ევროკავშირის დაფინანსებით მიმდინარე დაძმობილების პროექტის „სანიტარული, ფიტოსანიტარული და სურსათის უვნებლობის სისტემის შემდგომი პროგრესის უზრუნველყოფა საქართველოში“ ფარგლებში, ევროკავშირის კანონმდებლობისა და პროცედურების შესაბამისად, შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებმა ონლაინ ფორმატში მონაწილეობა მიიღეს შემდეგ საკითხებთან დაკავშირებულ ტრენინგებში/სამუშაო შეხვედრებში:

- ▶ ევროკავშირის ელექტრონულ სისტემაში TRACES მუშაობა;
- ▶ რისკზე დაფუძნებული მონიტორინგის გეგმების შემუშავება;
- ▶ „პროდუქტების და ცოცხალი ცხოველის სასაზღვრო კონტროლის პროცედურების შემუშავება და არსებული პროცედურების განახლება;
- ▶ SPS ინსპექტირების მოსაკრებლების სისტემის შეფასება;
- ▶ არაცხოველური წარმოშობის სურსათის/ცხოველის საკვების სასაზღვრო კონტროლი;
- ▶ ფიტოსანიტარული სასაზღვრო კონტროლის საკითხები;
- ▶ აზიის განვითარების ბანკის (ADB) დაფინანსებით CAREC ქვეყნებისთვის ტექნიკური დახმარების „SPS სისტემის მოდერნიზაცია ვაჭრობის გამარტივებისათვის“ პროექტის ფარგლებში,

ჩატარდა ონლაინ სწავლება ცხოველური წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტის რისკის შეფასებასთან დაკავშირებით. გადამზადდა შემოსავლების სამსახურის 26 თანამშრომელი. 2021 წლის 1 ოქტომბრიდან ძალაში შევიდა „ტექნიკური რეგლამენტის „ცხოველური წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტისა (მათ შორის, ცხოველური ნარჩენების) და მეორეული პროდუქტის, რომლებიც არ არის გამიზნული ადამიანის მიერ მოხმარებისათვის, ჯანმრთელობისა და ამ საქმიანობასთან დაკავშირებული ბიზნესოპერატორის აღიარების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის N605 დადგენილებით გათვალისწინებული იმპორტის მოთხოვნები.



საერთაშორისო თანამშრომლობის მიმართულებით განხორციელებული მნიშვნელოვანი ღონისძიებები

- ▶ ევროკავშირის TAIEX-ის პროგრამის მხარდაჭერით, შემოსავლების სამსახურის 23-მა თანამშრომელმა მონაწილეობა მიიღო სამუშაო შეხვედრაში საკითხზე - „წარმოშობის წესების ადმინისტრირების გარემოს დახვეწა“;
- ▶ საქართველოსა და ევროკავშირის შორის, საბაჟო ქვეკომიტეტის გადანაცვლებით ცვლილება განხორციელდა საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შეთანხმების პირველ ოქმში, რითიც ძალაში შევიდა „პან-ევრო-ხმელთაშუა ზღვის პრეფერენციული წარმოშობის შესახებ რეგიონული კონვენციის“ ახალი რედაქციის წინასწარი გამოყენება საქართველოსა და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის. ახალმა რედაქციამ შეარბილა მოთხოვნები:
 - წარმოშობის არმქონე მასალების პროდუქტის საერთო ღირებულების პროცენტულ წილთან დაკავშირებით;
 - პროდუქციის ტრანსპორტირებისას მესამე ქვეყნების ტერიტორიაზე გავლის შემთხვევაში სავალდებულო ფორმალობებთან მიმართებაში;
 - პროდუქტების წარმოებაში გამოყენებული იმპორტირებული მასალების საბაჟო გადასახადებისგან გათავისუფლების მოთხოვნასთან მიმართებაში;
 - პროდუქციის ღირებულების ადმინისტრირების მოთხოვნებთან დაკავშირებით;
 - საბაჟო ადმინისტრირების ფორმალობებთან მიმართებაში;
 - წარმოშობის სტატუსის მისანიჭებლად აუცილებელ სპეციფიურ პირობებთან დაკავშირებით.

აღნიშნული კიდევ უფრო მოქნილს ხდის და ამცირებს მწარმოებლისთვის შედარებით უფრო ხისტი მოთხოვნებით გამონვეულ საბოლოო პროდუქტის წარმოების ხარჯებს.

- ▶ საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეწყობის ეროვნული კომიტეტის მუშაობის ფარგლებში და გაეროს აზიისა და წყნარი ოკეანეთის ეკონომიკური და სოციალური კომისიის მხარდაჭერით, განხორციელდა კვლევა - საერთაშორისო ვაჭრობის მიზნებისთვის „უქალაღდო“ გარემოს მზა-



ბის საკითხებზე, სადაც შეფასდა როგორც სამართლებრივი, ასევე, ტექნიკური მიმართულებები და მომზადდა შემდგომი ნაბიჯების გეგმის პროექტი. საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეწყობის ეროვნული კომიტეტის და ევროპისთვის გაეროს ეკონომიკური კომისიის თანამშრომლობით შემუშავებული იქნა საქართველოდან მედიკამენტების ექსპორტის ბიზნეს პროცესების ანალიზის პროექტი, შესაბამისი რეკომენდაციებით.

- ▶ სარტყელი და გზის ინიციატივის (BRITACOM) ფარგლებში გამართული წლიური კონფერენციის დროს შემოსავლების სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე, ორი წლის ვადით, არჩეულ იქნა BRITACOM-ის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ. საბჭოს თავმჯდომარეს წარმოადგენს ყაზახეთის საგადასახადო ადმინისტრაციის უფროსი, ხოლო მოადგილეებს სიერა-ლეონეს, ურუგვაისა და არაბთა გაერთიანებული საემიროების საგადასახადო ადმინისტრაციების ხელმძღვანელები.
- ▶ BRITACOM-ის ფარგლებში, აგრეთვე, განხორციელდა შემოსავლების სამსახურის 107 თანამშრომლის ონლაინ რეჟიმში გადამზადება თემებზე: „საერთაშორისო დავების გადანაცვება“ და „საგადასახადო ადმინისტრაციის გაციფრულება“. ტრენინგები გრძელდება უწყვეტად და 2022 წლის მეორე კვარტალში დაგეგმილია ტრენინგები თემებზე „რისკის მართვა“ და „მსხვილ გადასახადის გადამხდელთა სეგმენტის მართვა“.
- ▶ საგადასახადო ადმინისტრაციების შიდა-ევროპულ ორგანიზაციასთან (IOTA) თანამშრომლობის ფარგლებში, საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის თანამშრომელი, ორი წლის ვადით, არჩეულ იქნა ორგანიზაციის შიდა აუდიტორად, ხოლო საქართველო 4 სხვა ქვეყანასთან ერთად, არჩეულ იქნა ტექნიკური დახმარების მრჩეველთა ჯგუფის წევრად. აგრეთვე, IOTA თანამშრომლობის ფარგლებში, საქართველო 5 წევრ საგადასახადო ადმინისტრაციასთან ერთად გახდა სადამკვირვებლო ჯგუფის წევრი, კომუნიკაციების მიმართულებით.
- ▶ დასრულდა აზიის განვითარების ბანკთან (ADB) 2020 წელს ინიცირებული პროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა საერთაშორისო კონტროლირებულ ოპერაციებთან დაკავშირებული წინასწარი შეთანხმების პროგრამის („Advance Pricing Agreement“) დანერგვის ხელშეწყობას. პროექტის ფარგლებში, განხორციელდა მოწვეული ექსპერტის მიერ საერთაშორისო კონტროლირებულ ოპერაციებთან დაკავშირებული წინასწარი შეთანხმების მარეგულირებელი კანონმდებლობის შესწავლა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება, რომელთა გათვალისწინებით ფინანსთა მინისტრის ბრძანებაში შევიდა შესაბამისი ცვლილებები და საქართველოში ამოქმედდა წინასწარი შეთანხმების პროგრამა.
- ▶ საგადასახადო ინსპექტორები საზღვრებს გარეშე (TIWB) პროგრამის ფარგლებში, 2021 წელს საფუძველი ჩაეყარა ორი პროექტის განხორციელებას. პირველი პროექტი მიზნად ისახავს საერთაშორისო კონტროლირებულ ოპერაციების საკითხთა შეფასების (ტრანსფერფრაიზინგის) სამმართველოს თანამშრომლებისთვის პრაქტიკული დახმარების აღმოჩენას ნავთობისა და გაზის დისტრიბუციის სფეროში, ისევე როგორც ტრანსფერული ფასწარმოქმნის სხვა პრიორიტეტულ თემებში საქმეების განხილვასა და გადანაცვებაში. მეორე პროექტი გულისხმობს ამავე სამმართველოს თანამშრომლებისთვის პრაქტიკული დახმარების აღმოჩენას წინასწარი

მეთანხმების პროგრამის (APA) პრაქტიკაში დანერგვის მიზნით. აღნიშნული პროექტის მიზნებისთვის, პროექტში ექსპერტული დახმარების აღმოჩენის მსურველ 6 ქვეყნას შორის, კონკრეტული კრიტერიუმების გათვალისწინებით, არჩეულ იქნა იტალიის რესპუბლიკის საგადასახადო ადმინისტრაცია.

- ▶ მსოფლიო ბანკთან თანამშრომლობის ფარგლებში, აგრეთვე, უცხოელი ექსპერტების მიერ ჩატარდა ტრენინგები შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტისა და საბაჟო და საგადასახადო მეთოდოლოგიის დეპარტამენტის თანამშრომლებისათვის. ტრენინგები, თემატიკის მიხედვით, რამდენიმე ეტაპად იქნა დაყოფილი. ჯამში გადამზადდა შემოსავლების სამსახურის ასამდე თანამშრომელი.



ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) საგადასახადო ადმინისტრაციის ფორუმი (FTA)

შემოსავლების სამსახურმა აქტიურად მიიღო მონაწილეობა OECD FTA-ის საერთაშორისო პროექტებში. კერძოდ, აღსანიშნავია ციფრული ტრანსფორმაციის მიმართულებით, განვითარებადი ქვეყნების საგადასახადო ადმინისტრაციის ციფრული ტრანსფორმაციის მხარდაჭერის შესახებ ანგარიშის მოსამზადებლად მრჩეველთა სამუშაო ჯგუფში ჩართულობა. სამუშაო ჯგუფის მიზანი იყო, OECD FTA-ის სამდივნოს უზრუნველყოფა რეკომენდაციებით და კონკრეტული მაგალითებით. შედეგად, მომზადდა ანგარიში „განვითარებადი ქვეყნების საგადასახადო ადმინისტრაციების მხარდაჭერა ციფრულ ტრანსფორმაციაში“¹, რომელშიც ასახულია ინფორმაცია შემოსავლების სამსახურის მიერ ბოლო პერიოდში განხორციელებული წარმატებული რეფორმების შესახებ:

- ▶ დაქირავებულ პირთა რეესტრის პროგრამის შესახებ;
- ▶ დღგ-ის ავტომატური დაბრუნების სისტემის შესახებ;
- ▶ შემოსავლების სამსახურის ვებგვერდის განახლების შესახებ.

აგრეთვე, აღსანიშნავია, რომ OECD FTA-ის ეგიდით, გამოქვეყნდა შემოსავლების სამსახურის გაციფრულების შესახებ ინფორმაცია², რომელშიც ასახულია მონაცემები, შემოსავლების სამსახურის მიერ 2001 წლიდან 2021 წლამდე განხორციელებული ძირითადი რეფორმატორული ცვლილებების, ციფრული და ელექტრონული სერვისების განვითარება/დანერგვის შესახებ.

გარდა ამისა, 2021 წელს, შემოსავლების სამსახური ჩაერთო OECD FTA-ის თანამშრომლობის ქსელის - „ერთიანი საერთაშორისო ძალა კონფიდენციალური ინფორმაციის გაცვლასა და თანამშრომლობაზე“ (JITSIC) მიმდინარე პროექტში, რომელიც ეხება საგადასახადო რეზიდენტობის ცნობების გაცემის და ვალიდურობის შემოწმებას. პროექტის მიზანია, მოხდეს საერთაშორისო მას-

1 <https://www.oecd.org/tax/forum-on-tax-administration/publications-and-products/supporting-the-digitalisation-of-developing-country-tax-administrations.htm>

2 <https://www.oecd.org/tax/forum-on-tax-administration/publications-and-products/presentations-and-documentation-summary.pdf>


შტაბით, საუკეთესო პრაქტიკების კრებულის მომზადება და საგადასახადო ცნობების მონაცემთა ბაზის შექმნა, რომელზე ხელმისაწვდომობა ექნება ყველა წევრ საგადასახადო ადმინისტრაციას.

OECD FTA-ის ფარგლებში, შემოსავლების სამსახურმა მონაწილეობა მიიღო საგადასახადო ადმინისტრაციათა ფორუმის მე-14 პლენარულ სხდომაში, რომელსაც 50-ზე მეტი წევრი ქვეყნის საგადასახადო ადმინისტრაციის ხელმძღვანელი და 280 დელეგატი ესწრებოდა. მონაწილეებმა განიხილეს საგადასახადო ადმინისტრირების საკითხები, მათ შორის პროექტის - „ორი მიმართულების“ (The Two Pillar Solution) განხორციელება, COVID-19-ის გლობალური პანდემიის არსებული გამოწვევები და მიღებული გამოცდილება. აგრეთვე, ისაუბრეს ციფრული ტრანსფორმაციის მხარდაჭერასა და ახალი შესაძლებლობების განვითარებაზე. შემოსავლების სამსახურის წარმომადგენელმა მონაწილეებს გაუზიარა უწყების წინაშე არსებული რისკები და გამოწვევები, მათ შორის მნიშვნელოვანი აქცენტი გაკეთდა ციფრული ტექნოლოგიების პრიორიტეტებსა და თანამშრომელთა შენარჩუნების სტრატეგიაზე.

- ▶ შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო საბაჟო კომიტეტის წარმომადგენლებს შორის გაიმართა სამუშაო შეხვედრა, რომლის ფარგლებში, მხარეებმა საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკებს შორის გამშვები პუნქტების შესახებ არსებული შეთანხმების ფარგლებში, ახალი, ერთობლივი საბაჟო გამშვები პუნქტის - „აბრეშუმის გზა - იპეკ იოლუს“ მშენებლობის პროექტი განიხილეს. სამუშაო შეხვედრა, აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე, საბაჟო გამშვები პუნქტის „წითელი ხიდი“ მოსაზღვრე მხარეს, სინიქ ქიორპუში გაიმართა.
- ▶ შემოსავლების სამსახურისა და სომხეთის რესპუბლიკის სახელმწიფო შემოსავლების კომიტეტის ხელმძღვანელ პირებს შორის სამუშაო შეხვედრა გაიმართა, რომლის ფარგლებში, მხარეებმა განიხილეს COVID-19-ის პანდემიით შექმნილი გამოწვევები და პოსტპანდემიურ პერიოდში, თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავების პერსპექტივები. მხარეებმა, ასევე განიხილეს განახლებული საბაჟო გამშვები პუნქტის „ნინონმინდა“ პროექტი. სამუშაო შეხვედრა, სომხეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე, საბაჟო გამშვები პუნქტის „ბაგრატაშენი“ ტერიტორიაზე გაიმართა.



- ▶ გაეროს ნარკოტიკების და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისის (UNODC), მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციისა (WCO) და ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ექსპორტის კონტროლისა და საზღვრის უსაფრთხოების (EXBS) ერთობლივი პროექტის - „კონტეინერების კონტროლის პროგრამის“ ფარგლებში, შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის ხელმძღვანელმა UNODC - ის შავი ზღვის რეგიონის კოორდინატორთან 2 სამუშაო შეხვედრა გამართა.



შეხვედრებზე მხარეებმა განიხილეს პროგრამის მიმდინარეობა, მიღწეული შედეგები და სამომავლო გეგმები.

აღსანიშნავია, რომ პროგრამაში ჩართული ყველა უწყების (ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური, შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიცია და ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი) ერთობლივი, კოორდინირებული და აქტიური მუშაობა, პროგრამის წარმატებით განხორციელების მნიშვნელოვანი წინაპირობაა. ამავე პროგრამის ფარგლებში, საქართველოში მოქმედ უწყებათაშორის დანაყოფს ჯამში 3 პრაქტიკული სწავლება ჩატარდა. პროგრამის მიზანია, ორგანიზებული დანაშაულის გამოვლენისა და აღკვეთის პროცესში ერთობლივ ოპერაციებთან დაკავშირებული, ისეთი მნიშვნელოვანი ინფორმაციის გაცვლა, როგორიც არის ნარკოტიკებით ვაჭრობისა და სხვა უკანონო საქმიანობის აღმოსაფხვრელად, მაღალი რისკის მქონე ტვირთების იდენტიფიცირება, ლეგიტიმური ვაჭრობის ხელშეწყობა და ამ მხრივ, საერთაშორისო თანამშრომლობის კიდევ უფრო გაძლიერება.

- ▶ საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკის ერთობლივი საბაჟო კომიტეტის რიგით მე-3 შეხვედრის ფარგლებში, მხარეებმა განიხილეს გლობალური პანდემიის პირობებში, ორი ქვეყნის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები და თანამშრომლობის პრიორიტეტული საკითხები. შეხვედრის ფარგლებში, ხელი მოეწერა „გამარტივებული საბაჟო დერეფნის შესახებ შეთანხმებას“.



- ▶ სამმხრივი შეხვედრა გაიმართა საქართველო-აზერბაიჯანი-თურქეთის რესპუბლიკის საბაჟო ადმინისტრაციებს შორის.




მხარეებმა განიხილეს ქვეყნებს შორის, საბაჟო სფეროში არსებული თანამშრომლობის სხვადასხვა საკითხი, რომელიც მოიცავს, როგორც კანონდღსრულებას, ასევე, საბაჟო გამშვები პუნქტების გამართივებული კონტროლის პროცედურებს, ინფორმაციის ელექტრონულ რეჟიმში გაცვლის სისტემებს (e-TIR) და სხვა მიმართულებებს. შეხვედრის ფარგლებში ხელი მოეწერა ოქმს „საქართველოს მთავრობას, აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის საბაჟო საკითხებთან დაკავშირებით სამმხრივი კომიტეტის შექმნის შესახებ“.

- ▶ შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის ოპერაციებისა და დაგეგმვის საკითხებზე გამართულ უწყებათაშორის სწავლებაში, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსა და საქართველოში თავდაცვის საფრთხის შემცირების სააგენტოს (DTRA) მხარდაჭერით ჩატარდა. სწავლების შემდეგ, მონაწილეებს გადაეცათ სერტიფიკატები. სწავლებას, ასევე, ესწრებოდნენ საქართველოს შინაგან საქმეთა, თავდაცვისა და იუსტიციის სამინისტროების, აგრეთვე, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და დაავადებათა კონტროლის ცენტრის წარმომადგენლები. შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებმა ასევე მონაწილეობა მიიღეს DTRA-ს მიერ ორგანიზებულ მასობრივი განადგურების იარაღთან დაკავშირებული კიბერდანაშაულის გამოძიების თაობაზე გამართულ სწავლებაში.


სტატისტიკური მოწყობები





საგადასახადო შემოსავლები






ზედმეტად გადახდილი გადასახადების დაბრუნება



ნებაყოფლობითი კანონშესაბამისობის დონე




მომსახურების მიმართულება








ელექტრონული განცხადებებით დისტანციურად სარგებლობის წილი



ელექტრონულ განცხადებებში Covid-19-თან დაკავშირებული განაცხადების წილი








საბაჟო მიმართულება


გაფორმებული საქონლის საბაჟო დეკლარაციები

2021 წელს გაფორმდა 333 020 საქონლის საბაჟო დეკლარაცია, მათ შორის - 229 314 თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების (იმპორტი) პროცედურაში, ხოლო - 71 209 ექსპორტის პროცედურაში. აღსანიშნავია, რომ წინა წლის მაჩვენებლებთან შედარებით ჯამურად საქონლის საბაჟო დეკლარაციების რაოდენობა გაიზარდა 20%-ით, მათ შორის, თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურაში - 18%-ით და ექსპორტის პროცედურაში - 33 %-ით




წინასწარ დაბეჭდილი დეკლარაციები

თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურაში წინასწარ დაიბეჭდა დეკლარაციების 42 %, იგივე მაჩვენებელი 2020 წელს შეადგენდა - 41%, 2019 წელს - 35 %




საქონლის საბაჟო დეკლარაციებით გაფორმებული საქონლის ღირებულება

2021 წლის მდგომარეობით 48,086,084,831 ლარის ღირებულების საქონელი გაფორმდა, 2020 წელს - 37,892,156,991 ლარის ღირებულების, ხოლო 2019 წელს - 38,676,687,689 ლარის ღირებულების




დარიცხული იმპორტის გადასახდელი

2021 წელს დარიცხული იმპორტის გადასახდელის რაოდენობამ 6,295,368,150 ლარი შეადგინა




საბაჟო დეკლარაცია - ფორმა 4 (მათ შორის, საფოსტო გზავნილები)

საბაჟო დეკლარაცია - ფორმა 4 -ის რაოდენობა 2021 წელს, წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით 30 %-ით გაიზარდა




საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული მგზავრები და სატრანსპორტო საშუალებები

გლობალური პანდემიის ფაქტორის გათვალისწინებით, 2020 და 2021 წლებში, საქართველოს საბაჟო საზღვარზე შემცირდა გადაადგილებული მგზავრებისა და სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა




საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული სატვირთო სატრანსპორტო საშუალებები

2021 წელს, საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული სატვირთო სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა წინა წელთან შედარებით 11 %-ით გაიზარდა




საფოსტო გზავნილები

2021 წელს, საფოსტო გზავნილების რაოდენობა წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით 19 %-ით გაიზარდა




წინასწარი გადაწყვეტილებები

2021 წელს გაიცა 52 წინასწარი გადაწყვეტილება საქონლის მიმართ სასაქონლო კოდის განსაზღვრის შესახებ და 6 გადაწყვეტილება საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის შესახებ




სასაქონლო ექსპერტიზები

2021 წელს 9871 სასაქონლო ექსპერტიზა ჩატარდა




წარმოშობის სერტიფიკატები


2021 წელს 54 480 წარმოშობის სერტიფიკატი გაცემული




ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ნებართვები



არაიოდირებული მარილის იმპორტის ნებართვა




რეგისტრირებული ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების რაოდენობა




ვეტერინარული სასაზღვრო საკარანტინო კონტროლი

ლაბორატორიული კვლევის მიზნით აღებული ნიმუშების ოდენობა




სასაქონლო პარტიების რაოდენობა, სადაც გამოვლინდა დარღვევა




ფიტოსანიტარიული სასაზღვრო საკარანტინო კონტროლი


ლაბორატორიული კვლევის მიზნით აღებული
ნიმუშების ოდენობა




სასაქონლო პარტიების რაოდენობა,
სადაც გამოვლინდა დარღვევა




ცოცხალი გენმოდიფიცირებული
ორგანიზმების კვლევის მიზნით, ლაბორატორიაში
გაგზავნილი ნიმუშების რაოდენობა




ცოცხალი გენმოდიფიცირებული
ორგანიზმების არსებობის დადასტურებული
შემთხვევების რაოდენობა



სურსათის/ცხოველთა საკვების გენმოდიფიცირებული
კომპონენტების შემცველობის კვლევის მიზნით,
ლაბორატორიაში გადაგზავნილი
ნიმუშების რაოდენობა




სურსათის/ცხოველთა საკვების გენმოდიფიცირებული
კომპონენტების არსებობის დადასტურებული
შემთხვევების რაოდენობა




სანიტარიული, ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული ნებართვები და სერტიფიკატები


ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული
პროდუქციის იმპორტის ნებართვა




ექსპორტის/რეექსპორტის
ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი




ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული
პროდუქციის იმპორტის ნებართვა



ვეტერინარული სერტიფიკატი



გემის სანიტარიული კონტროლისგან გათავისუფლების/
გემის სანიტარიული კონტროლის ჩატარების მონაცემები




აიასოვადური წარმოშობის სურსათის/სხოვადთა საკვების კონსერვები		2021 წელი
1	აიასოვადური წარმოშობის სურსათის/სხოვადთა საკვების კონსერვების ჩაბრუნების აქტივობის რაოდენობა	3705
2	დაბრუნებული კვების მიზნით აღებული ნივთების რაოდენობა	412
3	დაბრუნებული კვების დროს გამოვლენილი დანაშაულები	1
4	უკან გაბრუნებული სასაქონლო პაჩიების რაოდენობა	4
5	გადაუშვავებს დაქვემდებარებული სასაქონლო პაჩიების რაოდენობა	0
6	განადგურებული სასაქონლო პაჩიების რაოდენობა	2


არაცხოველური წარმოშობის სურსათში მძიმე მეტალების ლაბორატორიულ კვლევას დაექვემდებარა **179** ნიმუში, მცენარეულ ცხიმზე დამზადებულ სურსათში ტრანსცხიმების შემცველობის ლაბორატორიული კვლევის - **78** ნიმუში.

საქონლის გაშვების შემდგომი კონტროლი


ლერჯ დერეფანში განსაზღვრული შემოწმებული
დეკლარაციების რაოდენობა



ბრძანებით დანიშნული კამერალური/გასვლითი
შემოწმებების რაოდენობა



აქტებით / შუალედური აქტებით დასარიცხი თანხა






საბაჟო მიმართულებით გამოვლენილი სამართალდარღვევები

2021 წელს, საბაჟო მიმართულებით გამოვლინდა 48 439 სამართალდარღვევის ფაქტი, 41 388 საბაჟო სამართალდარღვევის ფაქტზე სანქციის სახით დარიცხულმა თანხამ შეადგინა 85 152 900 ლარი, ხოლო 6941 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე სანქციის სახით დარიცხულმა თანხამ შეადგინა 2 118 216 ლარი.



სამართალდარღვევები

გამოვლენილი სამართალდარღვევების რაოდენობა წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით გაიზარდა 116 %-ით. ამასთან, 184 %-ით გაიზარდა საბაჟო სამართალდარღვევების რაოდენობა.




სახელმწიფო საზღვარზე ნარკოტიკული და ფსიქოტროპული საშუალებების, იარაღის, ძვირფასი ლითონების და სიგარეტის უკანონო გადაადგილებასთან დაკავშირებული სამართალდარღვევების რაოდენობა.


შენიშვნა: გლობალური პანდემიის ფაქტორის გათვალისწინებით, 2020 და 2021 წლებში, საქართველოს საბაჟო საზღვარზე გამოვლენილი სამართალდარღვევების რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა.




საბაჟო და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე სანქციის სახით დარიცხული თანხა



კინოლოგიური შემოწმების შედეგად გამოვლენილი სამართალდარღვევების რაოდენობა




სკანერით შემოწმებული სატრანსპორტო საშუალებები და გამოვლენილი სამართალდარღვევების რაოდენობა




2021 წელს, სატრანსპორტო საშუალებების დასაკანონების შერეობა გამოვიწინა სამართალდარღვევის 271 ფაქტი, გიუჯუმის სასა-
ნებლო დარიცხული თანხა შეადგენს 167 412 ლარს.

საგადასახადო მონიტორინგის მიმართულება

მიმდინარე კონტროლის პროცედურები



კანონშესაბამისობის პროგრამებით გათვალისწინებული პროცედურები³





³ დეკლარაციის წარმოდგენილი ინფორმაციის ვალიდაციის პროგრამის ფარგლებში გარდა 20,602 სატელეფონო კომუნიკაციისა გაიგზავნა 583,245 შეტყობინება.

აუდიტის მიმართულება



დასრულებული
შემოწმებების რაოდენობა
5,82

დასრულებული
დეკლარაციების
კონტროლის რაოდენობა
15,969








ინდივიდუალურად განხილულია ზედმეტად
გადახდილი გადასახადების დაბრუნების
6,406 განცხადება

ინდივიდუალურად განხილული
განცხადებებიდან დაბრუნებულია
90,694,936 ლარი



აუდიტის მიერ აღსრულებული დავების გადაწყვეტილებებით შემცირდა საგადასახადო შემოწმების აქტებით დარიცხული 707 მლნ.ლარიდან - 351 მლნ.ლარი.

ღაჯუგის მიმართულება





ფინანსთა
სამინისტრო



შემოსავლების
სამსახური

უპირატესობა გარტივია

შემოსავლების სამსახური

📍 გორგასლის ქ. N16, 0114

☎ 032 2 299 299

✉ info@rs.ge

🌐 www.rs.ge